

ეთნოკულტურული ტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის

№ 94 საგრანტო პროექტის შემაჯამებელი ანგარიში

ეთნოკულტურული ტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის შექმნის მიზანი არის ხალხური მრეწველობის ტრადიციული დარგებისთვის დამახასიათებელი, ჯერ კიდევ ხმარებაში მყოფი ან უკვე მივიწყებული ტექნიკური ტერმინოლოგიის მოძიება, აღრიცხვა და ერთ ნაშრომში თავმოყრა, ეთნოტექნოლოგიის თითოეულ დარგში დაფიქსირებული ცალკეული ტერმინებისა თუ ტექნოლოგიური პროცესების მცირე აღწერა, არსებული ლექსიკოგრაფიული მასალის სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებულად გააზრებისა და ინტერპრეტირების წარმოჩენა ერთ სივრცეში.

აღნიშნული ლექსიკონის შექმნის საჭიროება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: საქართველოში ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხალხური რეწვის ტრადიციული დარგების განვითარებას, რაც უშუალო კავშირშია საქართველოში ტურიზმის მნიშვნელობის გაზრდასთან. მრეწველობის ტრადიციული დარგების აღორძინებამ დღის წესრიგში დააყენა ეთნოკულტურული ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემა, როდესაც ამა თუ იმ დარგის მოღვაწეებს უწევდათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ან ტექნოლოგიური პროცესის რეკლამირება ტრადიციული ქართული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე. სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას ისახავდა მიზნად ჩვენს მიერ ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევითი სამუშაოები, რომლის დროსაც შეიქმნა ეთნოკულტურული ტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი.

ხალხური რეწვის დარგებში ტრადიციულად ხმარებულ ტერმინთა ფიქსაციისა და განმარტებების გარდა აღნიშნული ლექსიკონი მოიცავს ცალკეული დარგების ზოგირთი ტექნოლოგიური პროცესის აღწერასაც, რაც ჩვენი აზრით დაინტერესებს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს.

ჩვენს მიერ შექმნილ ლექსიკონში პირველად იქნა გადმოცემული ზოგიერთი ტერმინის განმარტება. მაგ. საბრძოლო ხელოვნების დარგში პირველად შეხვდებით ტერმინების – კრივის, ხრიდოლის, დავითფერულის, გორდას და სხ. – ეტიმოლოგიური კვლევის შედეგებს.

აღნიშნული ლექსიკონის შექმნისთვის გათვალისწინებული სამუშაოები დაყოფილი იყო ოთხ ეტაპად:

I ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:

1. მოხდა ამოცანის ფორმულირება: ჩამოყალიბდა დასახული კვლევის მიზანი და განისაზღვრა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი ქმედებების კომპლექსი.
2. მოძიებული იქნა ლექსიკონის შექმნისთვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის ჩამონათვალი მოცემულია პირველი ეტაპის ანგარიშში.

II ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:

1. დამუშავდა I ეტაპზე მოძიებული, ლექსიკონის შექმნისთვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა (ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია I ეტაპის ანგარიშში), დამუშავდა არსებული ეთნოგრაფიული მასალა (გ. კოკოშაშვილის საველე დღიურის ჩანაწერები 1989-1999 წწ.).
2. მომზადდა ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელი საწყისი ელექტრონული ბაზა ხუთი დარგობრივი თემატიკის მიხედვით (ესენია: მეღვინეობა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამთო საქმეს, ლითონის ჭედვასა და ოქრომქანდაკებლობას, მშენებლობა, დამწერლობა, ქართული საბრძოლო ხელოვნება და სპორტი, ქართული ეროვნული სამოსის წარმოება).

III ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:

1. დამუშავდა ლექსიკონის შექმნისთვის აუცილებელი არსებული ეთნოგრაფიული მასალა (გ. კოკოშაშვილის საველე დღიურის ჩანაწერები 1999-2012 წწ.).
2. დამუშავდა 2013-2014 წლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა (გ. კოკოშაშვილის საველე დღიურის ჩანაწერები 2013-14 წწ.).
3. მომზადდა ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელი საწყისი ელექტრონული ბაზა თორმეტი დარგობრივი თემატიკის მიხედვით (ესენია: ავეჯის წარმოება, ტყავის დამუშავება – დაბაღობა, ხითხურობა – დურგლობა, კვების ტექნოლოგია, მედიცინა, ნადირობა და თევზაობა, სოფლის მეურნეობა, მეტროლოგია (საზომი ერთეულები), ტრანსპორტი და გადაადგილების საშუალებები, ქსოვა და ქარგვა, ხელსაწყო იარაღები, ჭურჭელი და მეთუნეობა, მუსიკალური ინსტრუმენტები.)

4. ჩატარდა სასემინარო მოსმენა III კვარტალში გათვალისწინებულ სამუშაოთა ასახვით.

IV ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაო: შეგროვილი ლექსიკოგრაფიული მასალა, ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგების ფიქსაციისა და მათი ელექტრონული ბაზის შექმნის შემდეგ, განთავსდა ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).

არსებული მასალის მოცულობიდან გამომდინარე, ეთნოკულტურული ტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი გაიყო ორ ნაწილად. I ნაწილი მოიცავს 4000-ზე მეტ სიტყვას, ფრაზას და ტექნიკურ ტერმინს, რომლებიც განთავსებულია ხალხური მრეწველობის 17 ტრადიციული დარგის მიხედვით და ანბანური თანმიმდევრობით, ანი-დან ჟან-ის ჩათვლით.

ლექსიკონის შექმნის დროს გამოყენებული იქნა წლების განმავლობაში წარმოებული ეთნოგრაფიული კვლევის მასალები და სხვადასხვა სალიტერატორო წყაროები (როგორც უკვე აღვნიშნეთ ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია I ეტაპის შუალედურ ანგარიშში), რომელთაგან უმთავრესია სულხან-საბა ორბელიანის *ლექსიკონი ქართული*, ნიკო ჩუბინაშვილის *ქართული ლექსიკონი*, თეიმურაზ ბაგრატიონის *წიგნნი ლექსიკონნი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის*, საველე დღიურის ჩანაწერები (გ. კოკოშაშვილი, 1999-2014 წწ.) და სხ.

ლექსიკონში, გარდა საკუთრივ ქართული დასახელებებისა, შეხვედებით ზოგიერთი უცხოური წარმოშობის ტერმინსაც, რომელიც დიდი ხნის დამკვიდრებული ჩანს ქართულ მეტყველებაში და ტრადიციულად იხმარება ამა თუ იმ ტექნოლოგიური პროცესის აღწერისას. ამ სიტყვათა წარმომავლობა აღნიშნული გვაქვს ფრჩხილებში მოთავსებული შემოკლებებით:

არაბ. – არაბული;

ბერძ. – ბერძნული;

ებრ. – ებრაული;

თურქ. – თურქული;

სომხ. – სომხური;

სპარს. – სპარსული.

ზოგიერთი ტერმინი სხვადასხვა მკვლევარის ნაშრომში განმარტებულია სხვადასხვანაირად. ასეთ სიტყვათა მნიშვნელობები მოგვყავს თითოეული ავტორის ინტერპრეტაციით და აღნიშნული გვაქვს ამ ავტორთა ფრჩხილებში მოთავსებული ინიციალებით. მაგ.: ს. ს. – სულხან-საბა ორბელიანი; ნ. ჩ. – ნიკო ჩუბინაშვილი; თ. ბ. – თეიმურაზ ბაგრატიონი; გ. კ. – გიორგი კოკოშაშვილი.

ეთნოკულტურული ტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ხელოვნებისა და საისტორიო დარგის სტუდენტებისთვის, ეთნომკვლევარებისთვის და ხალხური რეწვის ტრადიციულ დარგებში მომუშავე სპეციალისტთათვის.

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი

დოქ. გიორგი კოკოშაშვილი